განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„გარემოს დაცვის ინჟინერიის და გამოყენებითი ეკოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შეფასების თარიღ(ებ)ი
09.03.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი
14.04.2021

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	გარემოს დაცვის ინჟინერია და გამოყენებითი ეკოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	**ბაკალავრიატი**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	მეცნიერების ბაკალავრი გარემოს ინჟინერიაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	გარემოს დაცვის ტექნოლოგია-0712
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 16.09.2011 №31

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვაჟა ტრააპიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ბრეგვაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიკო შარაბიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

გარემოში მიმდინარე მზარდი ბუნებრივი და ანთროპოგენური დატვირთვების ფონზე მნიშვნელოვანია გარემოს დაცვისა და ეკოლოგიის მიმართულებით კადრების მომზადება, რომლებიც გარემოსდცავითი ტექნოლოგიების გამოყენებით შეძლებენ გარემოში მიმდინარე პროცესების გააზრებას და ანალიზს. საქართველოს გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური პრობლემატიკიდან გამომდინარე პროგრამა აქტუალურია და მისი განხორციელება მნიშვნელოვანია. მასში ჩართულია კვალიფიციური პერსონალი. იგი მოიცავს 240 კრედიტს და უზრუნველყოფს მიზნების შესაბამისად სწავლის შედეგების მიღწევას. აღნიშნული პროგრამა ერთადერთია დასავლეთ საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 9 მარტს, რომლის დროსაც გაიმართა შეხვდრები აწსუ-ს ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელძღვანელთან, ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებელთან, კურსდამთავრებულთან და სტუდენტებთან, მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა შემოწმდა მოქმედი რეგულაციების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა-შესაბამისობასია მოთხოვნებთან; სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა-შესაბიმისობაშია მოთხოვნებთან; სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - ევროკავშირთან ასოცირების ვალდებულებებისა და ქვეყნის განვითარების კვალდაკვალ ვითარდება ნარჩენების გადამუშავების საწარმოები, რომელთანაც კავშირის დამყარება გააუმჯობესებს პროგრამის შესაძლებლობებს.

  - გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების დეპარატმენტს აქვს კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ჰყავს კვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რაც იძლევა რეალურ შესაძლებლობას რომ გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მიმართულებით აწსუ-მ ბაზარს შესთავაზოს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  - პროგრამა მრავალმხრივად იყენებს აწსუ-სა და მის პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის დამყარებულ თანამშრომლობას (მაგ. მათ შორისაა კაუნასის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (ლიეტუვა), EPFL უნივერსიტეტი (შვეიცარია) და უკრაინის ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ასევე პროგრამის ხელმძღვანელისა და განმახორციელებელი პერსონალის საერთაშორისო პროექტებში ჩართულობას, რაც ფართოდაა გაზიარებული პროგრამის ფარგლებში როგორც სასწავლო პროგრამის (მაგ. ანალოგი პროგრამები), ასევე სტუდენტების კურიკულუმის გარეშე აქტივობების (საზაფხულო სკოლები, საერთაშორისო სემინარები და სასწავლო კურსები, გაცვლითი პროექტები, უცხოელი პროფესურის ლექციები, სტუდენტური კონფერენციების) ფარგლებში.

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- პროგრამის ინტერნაციონალიზაცია და კარგი საერთაშორისო კავშირები.

- პროგრამის აქტუალობა გარემოს დაცვისა და საზოგადოების ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მოთხოვნებთან კავშირში.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი პროგრამის ძირითადი მიზანია ბაკალავრის კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადება გარემოს დაცვის ინჟინერიისა და გამოყენებითი ეკოლოგიის მიმართულებით, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან შრომის ბაზარზე მოთხოვნადი ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს: გარემოში მიმდინარე პროცესების, გარდაქმნებისა და გარემოსდაცვითი პრობლემების კრიტიკულ გააზრებას; გარემოს კომპონენტების მდგომარეობის შეფასებას და/ან სიტუაციების ანალიზის მეთოდოლოგიის გამოყენებით; გარემოს დაცვის ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას ხელმისაწვდომი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებით;

მიზნებისა და სწავლის შედეგები დაფუძნებულია საქართველოს და საერთაშორიოსო შრომის ბაზრის მოთხოვნებზე და ნათლადა ჩამოყალიბებული და ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. სათანადო ტექნოლოგიების გამოყენება პრიორიტეტულს ხდის შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადებას,

ევროკავშირთან დადებულმა ასოცირების ხელშკრულებამ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა ქვეყანა. პროგრამაში გათვალისწინებულია ის ძირითადი ტენდენციები რაც ასახულია აღნიშნული ხელშეკრულების გარემოსდაცვით მხარეებთან მიმართებაში. ასევე პროგრამას აქვს გაუმჯობესების პერსპექტივები, მაგალითად ნარჩენების გადამამუშავებელ საწარმოებთან მიმართებაში.

პროგრამა მრავალმხრივად იყენებს აწსუ-სა და მის პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის დამყარებულ თანამშრომლობას (მაგ. მათ შორისაა კაუნასის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (ლიეტუვა), EPFL უნივერსიტეტი (შვეიცარია) და უკრაინის ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

პროგრამა შეესაბამისობაშია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის მისიასთან და სტრატეგიასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მისია;
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- საბაკალავრო საგანმანათლებო პროგრამა „გარემოს დაცვის ინჟინერი და გამოყენებითი ეკოლოგია“

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ევროკავშირთან ასოცირების ვალდებულებებისა და ქვეყნის განვითარების კვალდაკვალ ვითარდება ნარჩენების გადამუშავების საწარმოები, რომელთანაც კავშირის დამყარება გაუმჯობესებს პროგრამის შესაძლებლობებს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პროგრამა მრავალმხრივად იყენებს აწსუ-სა და მის პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის დამყარებულ თანამშრომლობას (მაგ. მათ შორისაა კაუნასის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (ლიეტუვა), EPFL უნივერსიტეტი (შვეიცარია) და უკრაინის ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგებში აღწერილია ის ცოდნა და უნარები ან/და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას, სწავლის შედეგები მოიცავს და აღწერს გარემოსდაცვითი ტექნოლოგიის სფეროსათვის დამახასიათებელ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას.

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები, დაშვების

წინაპირობების გათვალისწინება კი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ლოგიკურ ბმას და განვითარებას: ცოდნის შეძენა, გაღრმავება-განმტკიცებისაკენ. სასწავლო კურსების შინაარსის შესაბამისად განსაზღვრულია სწავლება/სწავლის მეთოდები და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. სწავლის შედეგები მიღწევადი, რეალისტურია და შეესაბამება დარგის სპეციფიკას.

პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების საკმაოდ მრავალფეროვანი მექანიზმი. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება ლოგიკურად, თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ შესაბამისი სასწავლო კომპონენტების მიხედვით, დარგის სპეციფიკით განსაზღვრული პერიოდულობით

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- შრომის ბაზრის ანალიზი
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შესაბამისობასია საქართველოში მოქმედ წესებთან. საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს: - სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელმაც წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები; - ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით) - უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელმაც უცხო ქვეყანაში მიიღო სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; - საქართველოს მოქალაქე, რომელმაც უცხო ქვეყანაში მიიღო სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; - პირი, რომელიც სწავლობს/სწავლობდა და მიღებული აქვს კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. წინაპირობების შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საგანმანათლებლო პროგრამა; დადგენილება №12 (17/18) - სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამის მოცულობა შეადგენს 240 ECTS კრედიტს: მათ შორის ძირითადი სპეციალობის 180 კრედიტი, დამატებითი სპეციალობის 60 კრედიტი.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობას. სტუდენტს გააჩნია შესაძლებლობა მისი ინტერესების ფარგლებში აირჩიოს დამატებითი პროგრამა და სასწავლო კურსები.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს იმ სწავლის შედეგების მიღწევას, რომელიც დაკავშირებულია გარემოს დამაბინძურებლები ნივთიერებებისა და ნარჩენების მინიმუმამდე შემცირების, ასევე გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების პროცესების შესწავლასთან. პროგრამა ანიჭებს მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიურ ხარისხის გარემოს დაცვის ტექნოლოგიების დეტალური სფეროს მიმართულებით (კოდი 0712).

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

აკრედიტაციის ვიზიტისასა ცალსახად გამოიკვეთა რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრი: აკადემიური და მოწვეული პერსონალი, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაცია, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. დაინტერესებული მხარეების ჩართვა განხორციელდა სხვადასხვა ფორმატის გამოყენებით: სამუშაო შეხვედრები, თვითშეფასების ჯგუფი, პროგრამის პაკეტის პრეზენტაცია, სტუდენტებთან შეხვედრები, სტუდენტთა გამოკითხვები, დამსაქმებლებთან შეხვედრები და ინტერვიუირება, კურსდამთავრებულთა გამოკითხვა და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ძირთადი და დამატებითი (minor) პროგრამების სპეციალობის კურიკულუმი, სასწავლო გეგმა
- სილაბუსები
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/ მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „გარემოს დაცვის ინჟინერია და გამოყენებითი ეკოლოგია“ სტრუქტურა უზრუნველყოფს კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კომპეტენციების თანდათანობით განვითარებას და სწავლის შედეგების მიღწევას სასწავლო კურსებს შორის ლოგიკური კავშირების არსებობით. სასწავლო კურსების შინაარსი ვითარდება ზოგადიდან კონკრეტულამდე, ზოგადიდან კონკრეტული თემატიკის მიმართულებით, შესაბამისად შემდგომ სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები ლოგიკური თანიმდევრობით არის დალაგებული.

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების მიზნები და შედეგები სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების ურთიერთკავშირი შეფასდა პროგრამის ხელმძღვანელის, განმახორციელებელი დეპარტამენტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის, პროგრამის სტუდენტების მიერ. თითოეული სასწავლო კურსისათვის ნათლადაა განსაზღვრული საკონტაქტო საათები და მათი გადანაწილება.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, შეესაბამება მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებს; ასევე ითვალისწინებს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში/დარგში და უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.

სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მისანიჭებელ კვალიფიკაციას - მეცნიერების ბაკალავრი გარემოს ინჟინერიაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა „გარემოს დაცვის ინჟინერია და გამოყენებითი ეკოლოგია“
- ინტერვიუები
- კურიკულუმის რუკა, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულები;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია ლაბორატორიული სამუშაოები, ჯგუფში მუშაობა და პრაქტიკული მეცადინეობები, რაც ხელს უწყობს სტუდენტებში ლაბორატორიული და პრაქტიკული უნარების განვითარებას. ასევე სასწავლო კომპონენტებში მნიშვნელოვანია საწარმოო პრატიკა და გარემოსდაცვითი პროექტის შესრულება რომელშიც გათვალისწინებულია დამოუკიდებელი კვლევის ელემენტები. აწსუ უზრუნველყოფს სტუდენტთა სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას ხელშეწყობას, რაც კიდევ უფრო განავითარებს სამეცნიერო კვლევითი და ტრანსფერული უნარებს. პრაქტიკის გავლის პერიოდში ან/და პროექტში ჩართვის შემთხვევაში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც შეაფასებს სტუდენტის საქმიანობას; სტუდენტებისათვის ხშირად ეწყობა ლექციები და სემინარები უცხოელი მკვლევარების მონაწილეობით. საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს გააჩნიათ შესაძლებლობა აქტიური მონაწილეობა მიიღონ როგორც საუნივერსიტეტო ისე საერთაშორისო ღონისძიებებში. დაინტერესებული სტუდენტები მონაწილეობას იღებენ სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში და თავიანთი მუშაობის შედეგებს წარადგენენ სტუდენტურ კონფერენციებზე. გარდა ამისა უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა სახის მხატვრული თვითშემოქმედების წრეები და სპორტული სექციები. აკადემიური პერსონალის ფართო სპექტრი ჩართულია სხვადასხვა სახის საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტების განხორციელბაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები Zფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროფილი; Zსტუდენტების სამეცნიერო ნაშრომები და სტუდენტთა პრეზენტაციები; Zსტუდენტური კონფერენციების პროგრამა; Zხელშეკრულებები/მემორანდუმები;

Z|სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
Z|აწსუ-ს ბრძანება უნივერსიტეტში სწავლების კომპონენტების მიხედვით ჯგუფში, სტუდენტთა სარეკომენდაციო რაოდენობის, აკადემიური პერსონალის პრაქტიკის დატვირთვის პარამეტრების და ჩატარების ნორმები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პარტნიორ უნივერსიტეტებთან ურთიერთობა შესაძლებლობას იძლევა აქტიურად დაიგეგმოს სტუდენტების კურიკულუმის გარეშე აქტივობების (საზაფხულო სკოლები, საერთაშორისო სემინარები და სასწავლო კურსები, გაცვლითი პროექტები, უცხოელი პროფესურის ლექციები, სტუდენტური კონფერენციები) ფარგლებში.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში გამოყენებული სწავლება/სწავლის მეთოდების ერთობლიობა ორიენტირებულია სტუდენტების შემეცნებითი და პრაქტიკული აქტივობების ორგანიზებაზე, შეესაბამება ბაკალავრის საფეხურს და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლება-სწავლის მეთოდებიდან გამოყენება ისეთი მეთოდები როგორიცაა: ლექცია, პრაქტიკული მუშაობა, ლაბორატორიული, დამოუკიდებელი მუშაობა და სხვა, აღნიშნული მეთოდები მოიცავს შემდეგ აქტივობებს დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი, ჯგუფური, დემონსტრირების, სინთეზის, ვერბალური, წერითი მუშაობის მეთოდი, ახსნა განმარტებითი მეთოდი, პროექტზე მუშაობა და პრეზენტაცია, დედუქციური, ანალიზის და პრობლემაზე დაფუძნებილი სწავლება. თითოეული საგნის სილაბუსში დეტალურადაა გაწერილი თუ რა მეთოდების გამოყენება ხდება კონკრეტული სასწავლო კურსის ათვისებისას და შესაბამისობაშია სტანდარტებთან

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამის კურიკულუმი
- სასწავლო კურსის სილაბუსები
- ლექციებზე ურთიერთდასწრების ოქმები
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კომპონენტები ფასდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასება ეფუძნება შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდობა, გამჭვირვალობა. შეფასება ითვალისწინებს შუალედური შეფასებებს და დასკვნით შეფასებას. თითოეული სასწავლო კურსი ფასდება სულ მცირე სამი კომპონენტით. შუალედური შეფასება ხორციელდება სემესტრის სალექციო-სასემინარო მეცადინეობისთვის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. დასკვნითი შეფასება ითვალისწინებს სტუდენტის შეფასებას სემესტრის ბოლოს, საგამოცდო პერიოდის განმავლობაში. დასკვნითი შეფასების მისაღებად სტუდენტი გამოცდაზე დაიშვება შუალედური შეფასებების მინიმუმ 18 ქულის მოგროვების შემთხვევაში. დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა.

სწავლის შედეგების გასაზომად ცალკეული კურსის ფარგლებში შემუშავებულია შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს კურსის მიზნებითა და სწავლის შედეგებით განსაზღვრული სწავლის მიღწევების შეფასებას. კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისთვის. უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას საპრეტენზიო განაცხადით მიმართოს ფაკულტეტის ადმინისტრაციას საპრეტენზიო

კომისიის შექმნის და შესაბამისი პროცედურების ინიცირების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o პროგრამის სილაბუსები o გასაუბრების შედეგები o პროგრამის სწავლის შედეგების რუკა o პროგრამის თვითშეფასების ანგარიში o აპელაციის წესი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში ვიზიტის დროს განხორციელებულ ინტერვიუბზე დაყრდნობით ჩანს, რომ მოცემული სტანდარტის კომპონენტი შესაბამისობასია მოთხოვნებთან. ინტერვიუებში მონაწილეობდნენ სტუდენტები და კურსდამთავრებულები. მათ დაადასტურეს, რომ სტუდენტები და კურსდამთავრებულები პროგრამის შემუშავების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები, შესაბამისად მათგან მიღებული რჩევები და რეკომენდაციები პროგრამის განვითარებაში ასახულია, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინიცირებით პროგრამაში გაიზრდა დატვირთვა ლაბორატორიული სამუშაოების ფარგლებში, ასევე დაემატა გარემოსდაცვითი პროექტები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდები შემუშავდა, გაძლიერდა პრაქტიკის კომპონენტი და წინ წამოიწია ექსტრაკურიკულარული სამუშაოებში ჩართულობამ როგორიც არის: შემოქმედებითი საქმიანობები, სამეცნიერო პიკნიკები, საერთაშორისო კონფერენციები და სხვა. ასევე სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ინიცირებით მაინორ პროგრამის არჩევის შესაძლებლობა მიეცათ, რეაკრედიტირებულ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს. დარგობრივი საგნები პირველივე კურსის პირველივე სემესტრიდან სწავლება დაიწყო და კურსი: ინფორმაციული ტექნოლოგიები პრაქტიკულ კურსად გადაკეთდა. ასევე გამოიკვეთა, რომ სტუდენტები ყოველი სემესტრის დასაწყისში უნივერსიტეტის მხირდან ინიცირებულ საინფორმაციო შეხვედრებს ესწრებიან , სადაც მათ მიეწოდებათ ყველა საჭირო ინფორმაცია სასწავლო პროგრამისა და სასწავლო პროცესის შესახებ , ასევე ისინი ფლობენ სრულ ინფორმაციას უნოვერსიტეტის სერსვისების შესახებ. სტუდენტებისთვის ინფორმაციის გაზიარება ხდება სხვადასხვა წყაროების მეშვეობით : უნივერისტეტის ვებ გვერდი, ელექტრონული ბაზები, ელექტრონული ფოსტა , სოციალური ქსელი და სხვა. ინტერვიუებმა ცხადჰყო, რომ ადმინისტრაცია ცდილობს სტუდენტებს დახმარება გაუწიოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხების მოგვარებაში, უნივერსიტეტში მოქმედებს შიდა ელექტრონული სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს სემესტრის დასაწყისადან, მისი მსვლელობისას და დასრულების შემდეგ თვალი ადევნონ თავიანთ აკადემიურ მოსწრებას და გაეცნონ კურსების სილაბუსებს , მიმდინარე სიახლეებსა და მათთვის საჭირო ნებისმიერ ინფორმაციას. სტუდენტებმა ასევე დაადასტურეს, რომ აკადემიური პერსონალი კურსის დასაწყისში დეტალურად აცნობს მათ სასწავლო კურსის სილაბუსს, სწავლის მიზნებს, შედეგებს, შინაარს, შეფასების სისტემას. მათ იციან, რომ აქვთ საკონსულტაციო საათით სარგებლობის უფლება, თუმცა, როგორც წესი, იშვიათად იყენებენ აღნიშნულ მექანიზმს. სტუდენტების მოსაზრებით ეს განპირობებული იმ ფაქტით, რომ ლექტორებთან შესაძლებელია მუდმივი კომუნიკაცია სხვადასხვა არხების მეშვეობით, რაც აპრობირებული პრაქტიკაა მათთვის. უნივერსიტეტის სპეციალური სამსახური, სტუდენტებს პერიოდულად სთავაზობს

სხვადასხვა ვაკანსიებს მეილზე შეტყობინებების სახით. ასევე სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის ტრენინგებში, პროექტებსა და კონფერენციებში. ასევე ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტები ფლობენ ინფორმაციას აღნიშნული შესაძლებლობის შესახებ. აქვე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სხვადასხვა უცხოურ უმაღლესი განათლების დაწესებულებებთან.

ზოგადად, სტუდენტები აღნიშნავენ რომ უნივერსიტეტში და კერძოდ, გარემოს დაცვის ინჟინერია და გამოყენებითი ეკოლოგიის პროგრამის ფარგლებში შექმნილია სტუდენტებისადმი უაღრესად კეთილგანწყობილი გარემო. თუმცა, სტუდენტები და კურსადმთავრებულები აღნიშნავენ, რომ გასაუმჯობესებელი მხარეები კიდევ არსებობს და ძირითადად ეს ეხება სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაძლიერებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

-თვითშეფასების დოკუმენტი;
- უსდ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- საერთაშორისო უნივერსიტეტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სტუდენტის/პროფესორის/ადმინისტრაციის ელექტრონული პორტალი;
- გამოკითხვის შედეგები
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „გარემოს დაცვის ინჟინერია და გამოყენებითი ეკოლოგია“ განხორციელებაში მონაწილეობს იღებს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი კვალიფიკაციის აკადემიური პერსონალი, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. მათ შორის: 4 პროფესორი, 23 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი, 5 მოწვეული სპეციალისტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში. პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ბიბლიოთეკაში, ლაბორატორიებსა და კომპიუტერული ცენტრებში მომუშავე დამხმარე პერსონალის საქმიანობა და ურთიერთდამოკიდებულება მიმართულია სასწავლო პროცესის მიზნების შესრულებისაკენ და შედეგების გაუმჯობესებისაკენ. დამხმარე პერსონალის უფლება-მოვალეობანი სამსახურების შესაბამისი დებულებებით გაწერილია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო მისიის შესაბამისად. პროგრამის ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო და ინფორმაციული მეცნიერებების მიმართულების სასწავლო კურსების განხორციელებას უზრუნველყოფს აწსუ-ს შესაბამისი დეპარტამენტების მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობენ პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელ თვითშეფასების ჯგუფთან. პროგრამას ხელმძღვანელობს პროფესორი ციცინო თურქაძე, მას აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება, აქტიურადაა ჩართული საუნივერსიტეტო ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის მზადების პროცესში. მის მიერ წლების განმავლობაში წაკითხული სასწავლო კურსები, ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცემებში გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და შექმნილი სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელოები სრულ შესაბამისობაშია განსახორციელებელი პროგრამის სწავლის სპეციფიკასთან და შედეგებთან. აღსანიშნავია, რომ ციცინო თურქაძე როგორც აკრედიტაციისა და ავტორიზაციის მაღალკვალიფიციური ექსპერტი ამ პროცესში

ჩართულია ჯერ კიდევ იმ დროიდან როდესაც საქართველოში იწყებოდა საგანმანთლებლო სივრცის ევროპულ სტანდარტებთან თავსებადობაზე მუშაობა.

პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვიუები;
- საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
- პერსონალის დატვირთვის განსაზღვრა-შესრულება;
- საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროფილი;
- საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის კვლევითი პროფილი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში შემუშავებული და დანერგილია აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების სისტემა. შეფასების ინსტრუმენტები განსხვავებულია თითოეული ტიპისათვის: ადმინისტაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების სისტემა ეფუძნება სამსახურების მიერ განხორციელებული ყოველწლიური ანგარიშგების სისტემას, ხოლო აკადემიური პერსონალისა და მასწავლებლების შესაფასებლად გამოიყენება სასწავლო წლის ფარგლებში წინასწარი ინდივიდუალური დატვირთვით განსაზღვრული სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური საქმიანობის შეფასება. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდურ მუშაობას განიხილავს პროგრამის განმახორციელებელი დეპარატმენტი და ფაკულტეტის ადმინისტრაცია. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების ანგარიში განიხილება დეპარტამენტის სხდომებზე და წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად. სასწავლო წლის ბოლოს წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური განიხილავს და აღრიცხავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სასწავლო წლის განმავლობაში შესრულებული სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის წლიური დატვირთვის შედეგებს.

2017 წლიდან აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებისათვის დაინერგა კოლეგიალური ურთიერთდასწრება, რომლის ფარგლებშიც ღებულობს შეფასებებს ძლიერ და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. აკადემიური პერსონალის ურთიერთდასწრებამ ხელი შეუწყო გამოცდილების გაზიარებასა და პერსონალის პროფესიული განვითარებას.

პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს გავლილი აქვთ მრავალრიცხოვანი ტრენინგები, მონაწილეობა აქვთ მიღებული არაერთ სამეცნიერო კონფერენციებში და პროექტებში

უნივერსიტეტი და ფაკულტეტის ადმინისტრაცია აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელის შესაწყობად ქმნის და პერმანენტულად აუმჯობესებს მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით (სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიული აღჭურვილობა და ინვენტარი, ბიბლიოთეკა, ინტერნეტ რესურსები და სხვა), რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა ორგანიზაციებთან, რომელთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც გამოყენებულია სასწავლო პროცესში. მუდმივად მიმდინარეობს სასწავლო და კვლევითი გარემოს განახლება და გაუმჯობესება, რასაც ადასტურებს სხვადასხვა წლებში სასწავლო პროცესისათვის საჭირო ინვენტარის შეძენის სტატისტიკა.

სასწავლო კურსის შესწავლისას გამოყენებული ლიტერატურა ემყარება დარგის უახლოეს მიღწევებს, აწსუ უზრუნველყოფილია სამეცნიერო ლიტერატურის ელექტრონული მონაცემთა ბაზით, საქართველოს ბიბლიოთეკების გაერთიანებული კატალოგით და EBSCO-ს ბაზებით სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

პროგრამას ახორციელებს ქიმიური და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების დეპარტამენტი, რომლის კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და შესაბამისი კვალიფიციური პერსონალი, რომელთა გამოყენება კიდევ უფრო მეტი ინტენსიურობითაა შესაძლებელი ბაზარზე მოთხოვნადი გადამზადებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსებისათვის.

მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- არსებული სააუდიტორიო და ლაბორატორიული ინფრასტრუქტურა;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო სერვისები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების დეპარატმენტს აქვს კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და კვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რაც იძლევა რეალურ შესაძლებლობას რომ გარემოსადცვითი ტექნოლოგიების მიმართულებით აწსუ-მ ბაზარს შესთავაზოს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახორციელებს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომლის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის საფასურიდან მისაღები შემოსავალი.

საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტის გაანგარიშება ხდება უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის მიერ, რომელშიც გათვალისწინებულია პროგრამის კომპონენტების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯები. ბიუჯეტის დაგეგმვისას თავისუფალი თანხის რაციონალურად და ეფექტიანად ხარჯვის მიზნით ბოლო ხუთი წლის მანძილზე ხორციელდება ფაკულტეტების მიერ წარმოდგენილი საბიუჯეტო განაცხადების შესაბამისად საერთო ბიუჯეტის ფარგლებში მათთვის ხარჯვის ლიმიტის გამოყოფა. ხარჯვის ლიმიტი არის ფაკულტეტებისათვის გამოყოფილი თანხის ხარჯვის გადაწყვეტის უფლება, ფაკულტეტების საჭიროებებიდან გამომდინარე, რაც ყოველწლიურად მზარდი ტენდენციით ხასიათდება. პროგრამებზე გამოყოფილი ადგილების და მიღებული სტუდენტების რაოდენობა საკმარისია ფინანსურად პროგრამის უზრუნველყოფისათვის. გამოყოფილ ადგილზე ნაკლები სტუდენტის მიღების შემთხვევაში პროგრამის განხორციელების მიზნით გონივრულ ფარგლებში ხორციელდება მისი დაფინანსება ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლის ფარგლებში.

უნივერსიტეტის ბიუჯეტით და ფაკულტეტის პრიორიტეტების გათვალისწინებით ფინანსური რესურსების გამოყოფა მიღწევადია და უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის და მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლასა და

განვითარებას, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო სხვა აუცილებელ ხარჯებს. მთლიანობაში პროგრამის ბიუჯეტი განაპირობებს პროგრამის სტაბილურობას და მდგრადობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - აწსუ წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფის დასაბუთების პრინციპების შესახებ; - პროგრამის ბიუჯეტი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს

ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

აწსუ მუდმივად ზრუნავს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე, რისთვისაც რეგულარულად ახორციელებს პროგრამების შიდა შეფასებას. ხარისხის შიდა სისტემა ეფუძნება სამ ძირითად პოლიტიკას: საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, კვლევის განვითარების პოლიტიკა, მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა.

შიდა შეფასების მიზნით უნივერსიტეტში ჩატარებულია კვლევები არსებული სასწავლო პროცესის ხარისხის, უნივერსიტეტის იმიჯის, კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების, კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის, პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლის გზით.

პროგრამის განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გატარდა შესაბამისი ღონისძებები, გამოყენებული ინდიკატორების მიხედვით. უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურებმა წარადგინეს რეკომენდაციები პროგრამების შემდგომი განვითარებისათვის.

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

დაწესებულება შეგროვებულ მონაცემებსა და შემუშავებულ ანგარიშებზე დაყრდნობით გეგმავს და ახორციელებს ცვლილებებს პროგრამაში, მისი გაუმჯობესების მიზნით. სახეზეა მჭიდრო თანამშრომლობა საუნივერსიტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურს შორის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აწსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“-ს დამტკიცების შესახებ;
- საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები;
- პროგრამის ყოველწლიური თვითშეფასებები;
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აწსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამების გარე ხარისხის შეფასება დაფუძნებულია როგორც, ავტორიზაციიის და აკრედიტაციის, ისე Erasmus+ და სხვა პროექტების, მოწვეული ექსპერტების, ვიზიტებისა და ტრენინგების შედეგებზე.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2011 წელს განხორციელდა საბაკალავრო პროგრამის „გარემოს დაცვის ინჟინერია და გამოყენებითი ეკოლოგია“ აკრედიტაცია. აკრედიტაციის შედეგად მიღებული რეკომენდაციები სრულადაა გაზიარებული და შესრულებული ინსტიტუციის მიერ.

პროგრამა ორიენტირებულია ხარისხის გარე შეფასების რეგულარულად გამოყენებაზე. აწსუ-ს მიერ გარე ხარისხის შეფესების წარმოდგენილი სტრატეგია ცალსახად აყალიბებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს სათანადო მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით სანდო და საჭირო ინფორმაციის გენერირებას, შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურისა და პრაქტიკის განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების,

კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციით საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და შეფასების პროცესი ხორციელდება მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურის მიხედვით (EP-QA 1.3). აღნიშნული პროცედურა გამოიყენება აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისათვის, მოქმედი პროგრამების განახლებისა და განვითარებისათვის.

პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცესი ხორციელდება აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ჩართულობით. შეფასების შედეგების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები და ღონისძიებები უზრუნველყოფს პროგრამის მოდიფიცირებას და გაუმჯობესებას.

პროგრამის შემდგომი განხორციელების ეტაპზე პროგრამის ხელმძღვანელს და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს აქვთ მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფს აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციით განსაზღვრული მიდგომების რეალიზაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- პროგრამის თვითშეფასება 2011-2017;
- უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: გარემოს დაცვის ინჟინერია და გამოყენებითი ეკოლოგია, ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 28

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ვაჟა ტრაპაიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

გიორგი ბრეგვაძე

სოფიკო შარაბიძე